№ 252 29 ნოემბერი, შაბათი. 1866—1880 29 ნოემბერი, შაბათი. № 252

დროება

გამოდის უოველ-დღე ოროშაბათს გარდა

რედაქცია
ბულვარის ბრაუნშვეიგში, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებაში“, „იბერიაში“ რედაქციაში. გარეშე ქალაქებისათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ - „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად.	13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
ცალკე „ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკეული ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა:
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ნეგულებრივი ასოთ ასოზე 1 კაპ. ნეგულებრივი ასოთ ასოზე ქვითხედ კაპ.

თუ ხელშეკრულება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და ქალაქელებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ვალდებული არ არის დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულსა, რუსულს და სხვა ენებზედ.

მომავალ 1881 წელს

დროება-ივერიის

გამოცემასედ

მომავალ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „**დროება**“ გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. **როგორც** იმ თავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისდა-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს **რომ** ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„**ივერია**“ კი მომავალის წლიდამ გამოვა თვეე-და-**თვეე**, ე. ი. წელიწადში თორმეტი წიგნი, და ყოველ წიგნში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა. **რედაქცია** იმედოვნებს, **რომ** ჟურნალი თავის დროსა და რიგზე გამოვა იმავე პროგრამმით, **როგორც** 1879 წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „**Дроэба-Иверіи**“ რედაქციაში, **Бо**ლავინის **Про**სპექტზე, თ. **Ив. К.** მუხრანსკის სახლებში, **клу**ბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით **უნ**და **და**იბარონ **გ**აზეთი **და** ჟურნალი: **Въ Тифлисъ. Въ редакцію Дроэба-Иверіи.**

ფ ა ს ი:

	1 წლით	6 თვით.	3 თვით.
„**Дроэба**“ **და** „**Иверія**“ **ორ**ივე **ერ**თად —	14 **მან.**	8 **მან.**	5 **მან.**
„**Дроэба**“ **ცალ**კე— — —	9 „	5 „	3 „
„**Иверія**“ **ცალ**კე — — —	7 „	4 „	2 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.
ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „ДРОЕБА-ИВЕРІИСА“ { **ილია ჭავჭავაძე**
სერ. ძესხი.

«დროების» ფელეტონი, 29 ნოემბ.

ბრას შარკ

ალფრედ ასოლანის მოთხრობა.

(ნათარგმნი ფრანგიზულიდამ.)

თ ა ვ ი III

დამბაჩის გასროლა

რაც მე თქვენ გიამბეთ **კ**აპიტან-**ვ**ილიზე, იქიდამ ძალიან ადვილი **წარ**მოსადგენია—**თუ** **რ**ისთვის ჩემს ცოლს **და** მე **არ** **გ**ვესიამოვნა **ვ**ილის ხსენ**ება**, **მ**ეტათ **მ**ე, **ი**მიტომ **რ**ომ **მ**თელი ჩემი **მ**რევლის **პ**ასუხის-**მ**გებელი **მ**ე ვიყავი ღვთის **წ**ინაშე.

როდესაც ჩემი **პ**ატარა ქალის **ტ**ი-**ტ**იკიდამ **შ**ევიტყე, **რ**ომ ჩემი **საყ**ვარ**ელ**ი ქალი, ჩემი **მ**ოხუცებულობის **ი**მ**ედ** **და** **სიხ**არული, **წ**ასულა ვილის **სახ**ლ**ში**, **ძ**ალიან **ა**ვღელდი.

წამოვხტი **სუ**ფრიდამ, **მ**ივატოვე **საჭ**მელი, **დ**ავიხურე **ქ**უდი **და** **გ**ამო-**ვ**არდი **ვ**არეთ. **ჩ**ემს **ც**ოლს **ძ**ალიან **შ**ეეშინდა. **ჩ**ემმა **უ**ფროსმა **შ**ვილებმა **ი**გრძნეს **ჩ**ემი **ა**ღელვება **და** **მ**ომაყვა-**რ**ეს:

— **მ**ამა! **მ**ამა! **ტ**ყეში **ბ**ევრი **მ**გლე-**ბ**ია, **წ**აიღე **შ**ენი **დ**ამბაჩა!

მე **მ**ივიხედე **კ**ედლისკენ, **ს**აცა **ე**კი-**და** **ჩ**ემი **და** **ჩ**ემი **შ**ვილების **ი**არაღი **და** **წ**არმოიდგინეთ **ჩ**ემი **გ**აკვირვება, **რ**ოცა **დ**ამბაჩები **ვ**ერა **ვ**ნახე! **ვ**ის **უ**ნდა **წ**აეღო?

მე **ი**სეთ **ნ**აირად **მ**ეჩქარებოდა **ჩ**ემი **ქ**ალის **პ**ოვნა **და** **გ**ამოხსნა, **რ**ომ **ხ**მა **არ** **ა**მომიღია, **ა**ვიღე **ჩ**ემი **დ**იდი **კ**ეტი **და** **გ**ავიქეცი **კ**აპიტან **ვ**ილის **ს**ახლისა-**კ**ენ.

მარტო **ო**რი **ს**ახლი **ი**ყო **ქ**ვისა **ა**მ **ჩ**ვენს **მ**ხარეს; **ე**რთი **ე**კკლესია **და** **მ**ეო-**რ**ეც **კ**აპიტანის.

კაპიტანის **ს**ახლს **ქ**უჩისკენ **ჰ**ქონდა **ფ**ანჯრები, **უ**კან **დ**იდი **ე**ზო **ფ**ი**ცრ**ულით **შ**ემოვლებული. **ი**ითონ **კ**აპი-**ტ**ანი **ი**დგა **პ**ირველ **ს**ართულში, **მ**ო-**ს**ამსახურეები **კ**ი **ს**ახლის **უ**კან **ი**დგ-**ნ**ენ.

როდესაც **მ**ივუახლოვდი **ს**ახლს **და** **მ**ივედი **ფ**ანჯარასთან, **ს**აშინელი **ხ**მა-**ურ**ობა **მ**ოვესმა **და** **ა**მ **ხ**მაურობა-**შ**ი **გ**ავარჩიე **ჩ**ემი **ს**აყვარელი **ქ**ალის **ხ**მა...

კაპიტანი **ი**ჯდა **ს**უფრაზე **და**, **რ**ო-**გ**ორც **ე**ტყობოდა, **ვ**ახშამს **მ**ი**ირ**თ-**მ**ევდა. **ე**რთი **ბ**ოთლი **ღ**ვინო **ე**დგა **ს**ტ**ო**ლზე **და** **ო**რი **ს**ა**რ**ეელი. **ე**ტყობა, **ძ**ალიან **მ**ადა **ჰ**ქონია.

აი **ს**წორეთ **ეს** **დ**რო **ა**მოერჩია **ჩ**ემს **უ**ბედურ **ქ**ალს **ი**მასთან **მ**ოსალაპარა-**კ**ებლათ

როცა **მ**ე **მ**ივუახლოვდი **ს**ახლს, **რ**ოგორც **ე**ტყობოდა, **ა**ხალი **შ**ესული **ი**ყო **ჩ**ემი **ქ**ალი. **ი**ს **დ**ა**ჩ**ოქილი **ი**დგა **კ**აპ**ი**ტ**ნ**ის **წ**ინ.

ვერ **წ**არმოიდგენთ—**თ**უ **რ**ას **ვ**გრძ-**ნ**ობდი, **რ**ოცა **დ**ავინახე **ჩ**ემი **ქ**ალი **დ**ა**ჩ**ოქებული **ა**მისთანა **უ**სვინიდისო **კ**აცის **წ**ინ. **მ**ე **ე**ხედავდი **ა**მას **ჩ**ემი **თ**ვალით **და** **ა**რ **შ**ემეძლო **დ**ამე**ჯ**ე-**ლ**ა!

კაპიტანი **უ**ყურებდა **ზ**იზღით, **რ**ო-**გ**ორც **უ**კანასკნელს **ძ**ალს... **ბ**ოლოს **მ**ოთმინებიდამ **გ**ამოსული **წ**ამოვარდა **ს**უფრიდამ, **გ**აიარ-**გ**ამოიარა **ო**თახში, **მ**ერე **დ**ადგა **ჩ**ემის **ქ**ალის **პ**ირ-**და**-**პ**ირ, **რ**ომელიც **ფ**ეხზე **წ**ამოდგა, **და** **უ**თხ-**რ**ა:

— **რ**ა **გ**ინდა **ჩ**ემგან **ბ**რას?

ჩემმა **ქ**ალმა **წ**ამოიყვირა:

— **რ**ა **მ**ინდა? **მ**კითხავ **კ**იდეც **ვ**ი-**ლ**ი?! **დ**ა**გ**ავიწყდათ **ჯ**ვარის **დ**ა**წ**ერის **პ**ირობა?

ამ **ს**ი**ტ**ყვაზე **კ**აპ**ი**ტ**ნ**მა **დ**ა**ი**წყო **ს**ი-**ც**ილი...

— **ჰ**ო, **პ**ირობა, **ჩ**ემი **დ**ა**პ**ირება! **შ**ენ **კ**არგათ **ი**ცი, **ჩ**ემო **კ**არგო, **რ**ომ **ა**მ **გ**ვარ **შ**ემთხვევაში **ყ**ველაფერს **დ**ა**გ**-**პ**ირდება **კ**აცი! **ა**მ **გ**ვარ **შ**ემთხვევაში **ყ**ველა **ქ**ალს **ე**გა **ა**ქვთ **მ**იზეზათ **რ**ომ **თ**ავიანთ **დ**ედ-**მ**ამასთან **თ**ავი **გ**ა**ი**-

---

ხელის-მოწერა

ბრუსსელ

სასჯელობის ბრემიისათვის, რომელიც ფუძნდება საქართველოს ისტორიიდამ საუკეთესო თხზულებათათვის.

სია შეოთხე

	მან.	კაპ.
მარიამ ცერცვაძისამ —	2	„
ადრინდელი იყო — —	164	70
სულ რედაქციაში არის —	166	70

ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

ლონდონი, ნოემბ. **ირლანდიაში**, **აგუსტუსის** **მახლობლად**, **როდესაც** **ერთს** **მიეჯარადრეს** **ქონებას** **უწერდნენ**, **ამ** **დროს** **სასამართლოს** **გარდაწყვეტილების** **აღმასრულებელს** (ბოქაულს) **ვიღაცამ** **ესროლა** **თოფი** **და** **მოჰკლა**. **მკვლელი** **დაიმალა**.

პეტერბურღი, 27 ნოემბ. „**მმართველობის** **მოამბეში**“ **დაბეჭდილია** **მადლობის** **ადრესი**, **რომელიც** **პეტერბურგის** **მცხოვრებლებს** **ხელმწიფე** **იმპერატორისათვის** **მიურთმევიათ** **მარილის** **ხარჯის** **მოსპობისათვის**.

გუშინ **სასახლეში** **იყო** **სადილი** **წმ.** **გიორგის** **ჯვრის** **კავალერებისა**. **ხელმწიფე** **იმპერატორმა** **წაიკითხა** **მოსაღოცი** **დეპეშა** **გერმანიის** **იმპერატორისა** **და** **დალია** **იმის** **სადღეგრძელო**

როგორც **წმ.** **გიორგის** **ორდენის** **უხუცესის** **კავალერისა**:

პეტერბურღის **გირჟა**, 27 ნოემბერს.

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი ვამოცემისა--	— 95	— 25
მეორესი — — — —	— 92	— 75
მესამესი — — — —	— 93	— 25
მეოთხესი — — — —	— 93	— „
ალმოსავლეთის პირვ.—	— 90	— 75
ალმოსავლეთის მეორე	— 90	— 75
ალმოსავლეთის მესამე	— 90	— 75
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	— 7	— 97

თფილისის **სა**ადგ.-**მ**ამ. **ბ**ან**კ**ის **ვ**ი-**რ**აოს **ფ**ურ**ცელი** — — „ — „

შინაგანის 5% **ს**ესხი **ბ**ილ**ეთ**ები:

	მან.	კაპ.
პირ**ველ**ი **ს**ესხის	— — 227	— „
მეორ**ე** **ს**ესხის	— — — 218	— „

1 **მ**ან**ეთ**ი **ღ**ირს:

ლონ**დ**ონ**ი** — —	24—65	**პ**ენ**ს**ი
ბამ**ბ**ურ**ღ**ი — —	209—75	**ც**ენ**ტ**ი
პა**რ**ი**ქ**ი — — —	260—	„ **ს**ან**ტ**იმ**ი**
ვენ**ა** — — —	129—50	**ჰ**ფენ**ი**გ**ი**
ავ**კ**ა**ს**ი**ის **კ**ერ**ა**ს**ი**ნ**ი** — — —		

ზოთა რუსთაველი.

„**დ**როების“ **მ**ე-241 **ნ**ომ**ერ**ში **წ**ა-**ვ**ი**კ**ით**ხ**ე **ს**ამთა **პ**ირ**თ**ა**გ**ან **ხ**ელ-**მ**ოწ**ე**-**რ**ილი **შ**ენ**ი**შ**ვ**ნ**ა** **მ**ა**ს**ზ**ე**, **რ**ომ **შ**ემ**დ**გ**ა**-**რ**ა **გ**ან**ს**ა**კ**უთ**რ**ებ**ი**თ **რ**ედ**ა**ქ**ც**ია **უ**კ**ვ**დ**ა**-**ვ**ის „**ვ**ეფ**ხ**ვ**ის **ტ**ყ**ა**ოს**ნ**ის“ **შ**ე**ც**დ**ო**მ**ა**თ**ა** **შ**ე**ს**ა**ს**წ**ო**რ**ებ**ლ**ად.

ეს **ს**აქ**მ**ე **ფ**რ**ი**ად **კ**ა**რ**გ**ი**ა **და** **კ**ეთ**ი**ლ**ი**, **და** **ღ**ირს **მ**ა**დ**ლ**ო**ბ**ის** **გ**ა**რ**დ**ა**ხ**დ**ისა **ჩ**ვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ იმ პირთადმი, რომელთაც ხელს უღიათ შრომა. მაგრამ ამ შენიშვნამ დაჰბადა ჩვენში ერთი ფიქრი და აზრი, რომელიც ჩსურს მოგახსენოთ და დარწმუნებული ვარ მიიღებთ და მოიხმენთ ყურადღებით, ძენო და ასულნო საქართველოისანო.

ვინ არ იცის თქვენგანმა ბრწყინვალე სახელი შოთა რუსთაველისა? ვის არ წაუკითხავს მისი უკვდავი პოემა „ვეფხვის-ტყაოსანი“, ანუ არ იცის რამდენიმე ლექსი, რომელთაც ხალხში ხმარობენ ვითარცა ჭეშმარიტსა ანდაზას? მრავალთ საუკუნეთა განვლეს შემდეგ შოთა რუსთაველის სიკვდილისა; მრავალნი ისტორიულნი შემთხვევანი საქართველოს ბედნიერებისა და უბედურებისა შეიქმნენ მხოლოდ საგნათ ისტორიკოსთა; მრავალნი ქმნილებანი და ნაშთნი წარჩინებულთა მეფეთა და გმირთა შეიქმნენ მსხვერპლად უწყალო დროებისა და არა ჰსჩანან პირსა ზედა ჩვენის ქვეყნისა; — ხოლო პოემა „ვეფხვის-ტყაოსანი“ და მისი ავტორი შოთა რუსთველი არა წახდება ხალხის გულში და გონებაში უკუნითი უკუნისამდე.

მიზეზი ამისა ეს არის, რომ საქართველოში ამის მსგავსი არა დაბადებულა-რა; ეს იყო, არის და იქნება ხალხის გენიოზი, რომელსაც ცხადათ, სურათებრივ თავის პოემაში გამოხატავს ჩვენი ენის სიმდიდრე და მშვენიერება; ჩვენი ეროება და ქართველობა; ჩვენი სწავლა და ხელოვნობა.

ამისთანა პოემა ყველა ხალხს არა აქვს; იშვიათია თვით ევროპაშიო, სწერს წარჩინებული მწერალი მარი ბროსეტი, ტომით ფრანცუზი, რომელშიაც პირფეროობას, თავის მოწონებას და პატრიოტობას ალაგი არა ჰქონდა და არც ექმნებოდა. „ვეფხვის-ტყაოსანში“ მშვენიერი მჭევრ-მეტყველობა, სამაგალითო და საკვირველი ლექსთ დაწმახვნა, მაღალი სწავლა და ფილოსოფია ისე შეკავშრებულია, რომ ყველა კაცს აკმაყოფილებს, ყველა კაცი მოჰყავს აღტაცებაში და ფიქრში და ამისთვის „ვეფხვის-ტყაოსნის“ კითხვა არ მოსწყინდება. თვით შოთა რუსთველმა დაუსახელა ამისთანა მნიშვნელობა, ამისთანა მოქმედობა ხალხში თავის პოემასა და გრძნობდა, რომ შეიქმნებოდა ხალხისთვის: „ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“.

ამ პოემას აძლევდნენ ქალებს მზითევში, ვითა დაუფასებელ საუნჯესა; მზითვის სიაში პირველად უნდა ყოფილიყო: მღვთის-მშობლის ხატი და მეორედ „ვეფხვის-ტყაოსანი“, რომელიც მრავალთა ქალთა ზეპირ იცოდნენ თავით-ბოლოდისინ, ვითარცა „მამაო-ჩვენო“.

მაშასადამე შოთა რუსთაველი არის ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩვენის წარსულ ცხოვრებისა და ლიტერატურისა; ჩვენი დიდება, სახელი და ამპარტავნება; ჩვენი ბომერი, დანტე, ვირგილი, ტორკვატტასო, გჰოტე. შილერი, მილტონი, ბაირონი...

ეს ხელოვანი ძეგლი დაუტოვა შოთა რუსთაველმა შთამომავალთა და ამით გადუხადა სიყვარული, ერთგულობა და მადლობა მშობელსა თვისსა საქართველოს.

ნუ თუ ჩვენ, მისს შთამომავალთ არა გვმართებს გადუხადოთ სიყვარული, ერთგულობა და მადლობა ამისთანა ქმნილებისათვის? შეეჭველია. აუცილებელია. რომ გვმართებს და არის ჩვენი სამღვთო ვალი.

ხოლო რით და როგორ?

ამის პასუხი მიღებული და გადაწყვეტილია ყველა ქვეყნებში. რით გადუხდის შვილი თავის გარდაცვალებულს მშობელს, ნათესავი-ნათესავს? ამით, რომ მათ საფლავს არ დაუტოვებს ისე, რომ ნიშანი არა დასდოს-რა. ის შვილი, ის ნათესავი, რომელიც არ აღასრულებს ამ მოვალეობას, სუყველასგან საკიცხავია.

მაშ სად არის საქართველოში შოთა რუსთაველის ძეგლი, წინაშე რომლისა ქუდ-მოხდილნი ვიდგეთ და

მართლონ და ჩვენ დაგვაბრალონ თავიანთი სისულელე.... შენ შემიყვარე იმიტომ რომ ლამაზი ვარ და მდიდარი; მეც შეგიყვარე იმიტომ რომ ლამაზი ხარ და ამასთანავე შენი დაპირება დროს მატარებინებდა.... ორივე ძალიან ბედნიერი ვიყავით. მაშ გავქვითდით!... ერთი საქმე ჰქენი შენ: მოდი, დავადგმევინებ შენთვის თებშებს, ვივახშმოთ და მხიარულათ გავატარეთ საღამო?

ვერ წარმოიდგენდით — თუ რა გრძნობა აღმძრა ამ გვარ უსვინიდისო ლაპარაკმა. მინდოდა გამემტვრია ფანჯარა, შეევარდნილვიყავ და ორივე ნაკუწ-ნაკუწათ მექცია. მაგრამ ჯერ მინდოდა შემეტყო — თუ რამე აქვს ბრალს ღვთის წინაშე შესანანებელი.

იმ დროს, როდესაც იმ ყმაწვილს უნდოდა ბიჭის დაძახება, ჩემმა ქალმა შეაყენა და თვალ ცრემლიანი უთხრა:

— მარტო ჩემთვის არ გეხვეწები: შეიბრალე ჩემი დედ-მამა და ნუ შეარცხვენ ამ მოხუცებულების დროს...

ამაზედ კაპიტანმა დაცინვით უპასუხა:

— დედა! მამა! მაგას მოველოდი მე! რატომ უფროს დებს და ძმებს არ წარმომიდგენ წინ?

ამ სიტყვებზე ბრალი გაწითლდა, დაიდო გულზე ხელი და სთქვა:

— ამ ყმაწვილის გულისთვის მაინც, რომელიც დაიბადება მალე და რომელსაც ვერ გაუბედავ თავის მამის სახელის დარქმევას...

— ეჰ! — ამ დროს გაამსო დიდი ჭიქა ღვინით და ერთბაშათ გადაჰკრა. — თუ გინდა, უთხარი, თუ გინდა არა; მე რა მენაღვლება! მე ხომ ძალათ არ შეგაცდინე? სრულებითაც არა. მე გკითხე: ბრალ გიყვარვარ? შენ ამაზე თანხმობა გამოაცხადე და მითხარი: — შემირთამ თუ არაო! მე ეს კითხვა თქვენი, ველური ქვეყნის ჩვეულება მეგონა და ამისთვის გიპასუხე: შეგირთამ! რასაკვირველია. მე მამა-ჩემის თანხმობას მოველოდი. თქვენ გახსოვსთ, გითხარით, რომ მამა ჩემის უთანხმოთ არ შემიძლიან ცოლის შერთვა-მეთქი?

— დიახ, მახსოვს, უპასუხა ბრალმა.

— მამა ჩემი გადიცვალა.

— გადაცვალა? გაიმეორა ბრალმა.

— დიახ, ამ ბოლო დროს მომიწია წერილი, რომელშიაც მწერენ ამბავი ჩემის სიკვდილს. ის მოკვდა თანხმობის მოცემის წინათ. ეხლა, რასაკვირველია, იმას აღარ შეუძლიან თანხმობის მოწერა და, რადგან ჩემი ქორწინება ამ თანხმობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ ყველაფერი ჩაიშალა.

— აი ამიტომ დაუმატა ვილიმ და უნდა მოხვეოდა ჩემს ქალს, — დავანებოთ თავი ამაზე ლაპარაკს და ივახშმოთ, ჩემო კარგო ბრალ, რადგან ძალიან მშიან და მწყურიან კიდეც....

ბრალ გამოუსხლტა ხელიდამ, დადგა სამ ნაბიჯზე, ამოიღო ჯიბიდამ დამბაჩა და ესროლა...

როდესაც შევამტვრიე ფანჯარა და მინდოდა კამოძერთმია იარაღი და წაყეყანა იქიდამ ჩემი ქალი, მეორეთ ესროლა დამბაჩა... მეორე ტყვია კედელს მოხვდა. მარტო პირველმა ცოტა გაკაწრა. ვილის უნდოდა მივარდნოდა ჩემს ქალს, გამოერთმია იარაღი და დასახმარებლათ უძახოდა ბიჭებს...

(გაგრძელება)

საკვირველია შემდეგ გამოცანისა ანუ იმ პირთა, რომელნიც მოღვაწეობენ ქართული ლიტერატურის ასპარეზზედ. ეს საქმე იმათი ვალია და, უეჭველია, ამოიღებენ ეხლავ ხმასა.

ს. სავსელი.

24 ნოემბერს, ქ. დუშეთს.

ახალი ამბები

ამ თვის 25-ს ბრსენალის გვერდით პოლიციამ ნახა ერთი 15 წლის ახალგიზდა ქალის გვამი, რომელიც ეტყობოდა თაეწვათ და შემდეგ გადაეგდოთ აქ...

ქაცმა არ იცის — ვინ არის ეს საბრალო ან ვის ჩაუდენია ამისთანა ბარბარული საქმე.

ეს გვამი ამ ჟამად თფილისის საავათყოფოში ასვენია ამ ჟამად. ამბობენ, ქალის სახე ისე არ არის გაფუჭებულიო, რომ ნათესავებს არ შეეძლოსთ იმის გამოცნობაო; ამის გამო გამოძეძიებელი სთხოვს, ვისაც ქალი დაეკარგა, ხსენებულ საავთმყოფოში მივიდნენ და ნახონ.

* * *

ჩვენ შეეიტყვეთ, რომ ქართულ ტრუპას რამოდენიმე ახალი პიესა შეუძენია მათ რიცხვში თ. რაფ. ერისთვის პიესა: „ი როგორ უნდა ბრალ-ტაგი!“ მისაც უნახავს ამ ავტორისაგან ნადმოკეთებული პიესები: „ბიძიათან გამოხუმრება,“ „პარიკმახერისას,“ „ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ“ და სხვანი, ადდვილათ წარმოიდგენს ამა პიესის ღირსებასაც, რომლის წარმოდგენას ამ კვირას ეპირებოდნენ, რომ ბაბუნიას ქალის ავათმყოფობას ხელი არ შეეშალა ტრუპპისათვის. მის ნაცვლად აძლევენ თ. დ ერისთვისაგან ფრანცუზულიდამ გადმოკეთებულ პიესას; „ბეო, მინას და ძომპანია.“ ეს პიესა ჩინებული რამაა... მართლა რომ ფრანცუზულ კილოზედ დაწერილი, მაგრამ მეტათ ძნელი სათამაშო კი არის.

—თუ აქტიორებს როლი არ ეცოდინათ და სუფლიორის იმედით იქმნენ, არ ივარგებს. ეს ისეთი მოსწრებული პიესაა და ი ე ჩქარი და ცოცხალი თამაშობა ეჭიერება, რომ თუ ერთი შეჩერდა ვინმე და სხვებს გაუწყვიტა თამაშობის ძაფი, სულ აღარა გამოვა-რა.

ჩვენ გავიგონეთ აგრეთვე ზოგიერთ არტისტებისაგან, რომ ვისთვის ვისწავლოთ როლები ვისთვის წარმოვადგინოთ კარგათ და ვიხეთქოთ ოავი, რომ ხალხს ვერა ვხედავთ თეატრში? ხალისი გვიფუჭდებაო! ეი რას მოვახსენებთ იმათ: ყოველს შემთხვევაში მათი ვალია, რომ კეთილ-სინდისიანათ ასრულონ თავიანთი მოვალეობა, რომ პირ-აქეთ ისინი არ დარჩენ პირ-შავათ, და სხვას ყოველივეს დრო გაასწორებსო...

* * *

ოდესის გაზეთებში იწერებიან, რომ ფილოქსერა თან-და-თან ისეთს ადგილებში ჩნდება ყირიმშიო, სადაც არავის არ ეგონაო.

ჩვენს გაზეთში იბეჭდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განცხადება, რომელიც გვაცნობებს, რომ დღეს, შაბათს, ამ საზოგადოებაში იქნება მოლაპარაკება იმაზედ, თუ რა ღონის-ძიებით შეიძლება ამ ავათმყოფობისაგან ჩვენის ქვეყნის დაცვა.

მადლობა ღმერთს, ერთხელ მაინც ამოიღო ამ საზოგადოებამ დროზედ ხმა! მაგრამ, ჩვენის აზრით, აქ ბევრი მოლაპარაკება და სჯა საჭირო არ არის: საზოგადოებამ ერთხმად და ენერგიულად უნდა იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობის წინაშე, ახლავე, დაუყოვნებლივ გამოსცეს სასტიკი ბრძანება, რომ არავის არ ჰქონდეს უფლება სამზღვარ-გარეთიდამ და ყირიმიდამ ვაზის და სხვა ყველა ხილეულის ნერგი შემოიტანონ ჩვენს ქვეყანაში.

მხოლოთ ეს აღკრძალვა დაიხსნის ჩვენს მხარეს ამ ვაზის დამღუპველ ავათმყოფობისაგან...

* * *

გაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რომ შუა-ბაზრის ერთს ქუჩაში, ებრაელების ქუჩაში რამდენიმე სახლში ტიფის ავათმყოფობა გამოჩნდაო.

* * *

ჩვენი ახალი თეატრის პლანის შემდგენელს არხიტექტორს შრეტერს პეტერბურლის არხიტექტურთ კრებაში უთქვამს რამდენიმე სიტყვა ამ ჩვენ მომავალ თეატრის შესახებ. ბ. შრეტერის სიტყვით, ახალს თეატრში იქნება 1,350 ადგილი მაყურებელთათვის (პეტერბურგის დიდ თეატრში სულ 4727 ადგილია, მიხაილოვის თეატრში კი—1103 ადგილი). ზალა იქნება სიმაღლით $6^1/_2$ საჟენი და შეიცავს 84 ოთხ-კუთხ საჟენს. თეატრის აშენება ნახევარ მილიონი მან. დაჯდებაო.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ:

„ბატ. რედაქტორო! მე-247 ნომერში თქვენის პატივცემულის გაზეთისა დაბეჭდილი იყო, რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში მოსწავლეებს თეფშებს და დანა ჩანგალს აწმენდინებენო. უნდა მოგახენოთ, რომ თეფშების და დანა-ჩანგლის წმენდა მაგირდებს სიზმარშიაც არ მოსჩენებია. მხოლოდ, რადგანაც ვერცხლის კოვზები ხშირად წმენდის დროს იკარგებოდნენ ხოლმე მოსამსახურეების ხელში, ამის გამო მათი წმენდა დეჟურნ მოსწავლეს მიანდვეს და, ვიმეორებ, დანა-ჩანგლის და თეფშების წმენდა კი სრული ტყუილი გახლავთ.

„ფეხის ადგილზედ: თუმცა პურის საჭმელი ოთახი, მართალია, ახლოა ფეხის-ალაგზედ; მაგრამ არაფერი ცუდი სუნი არა ტრიალებს იქ, რადგანაც ბატ. ზახაროვი ყოველ დღე კუპაროსს ასხმევინებს ხოლმე“.

მკითხველი ჰხედავს, რომ ჩვენს გაზეთში მოყვანილი შენიშვნა, ამ საგნის შესახებ, სრულებით ისეთი შემცდარი არ ყოფილა, როგორც ამ წერილის ავტორი ამტკიცებს.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! ვერ წარმოიდგენთ რა რიგი მოულოდნელი, მაგრამ სასიამოვნო ამბავი წავიკითხე „დროების“ № 233-ში თფილისის მაზრის თავად-აზნაურობას ერთხმად ვარდაწყვიტილებაზედ, რომ მოიპოვონ ღონის-ძიება თავიანთ შვილების აღსაზრდელათ.

ეხლა კი სწორეთ მოიმედენი ვართ, რომ შესრულდება ის კეთილი და სასარგებლო აზრი, რომელიც ჩანერგა ჩვენში ჩვენგნივ დიდათ პატივსაცემმა კ. ძ. მამაცოვმა.

მხოლოდ მსურს რამოდენიმე ჩემი მოსაზრება წარმოვსთქვა, შესახებ კამისიის მინდობილობისა, იმ იმედით, რომ იქნება გამოსადეგი და სახეში მისაღები იყოს ეს ჩემი აზრი, იმ კომისიისა, რომელმანც უნდა წარმოადგინოს მომავალ 1881 წლის იანვრამდინ თავის ჰაზრი იმაზედ, თუ რამდენმა მამულიანმა თავადმა და აზნაურმა რამდენი ფული უნდა შემოიტანოს წლიურად.

ჩემის ჰაზრით, ეს დაჩქარება კომიტეტის მხრით, რომ ეხლავე გარდაწყვიტონ—ვის რამდენი ფული უნდა შეახვედრონ, ადრეა; მე ეს მომაჩნია საზარალოთ ეი რათ: ჯერ ღუბერნიის თავად-აზნაურთა კრება ამ საგნის შესახებ არ ყოფილა; როდესაც ამ თავითვე გაიგებენ თავად-აზნაურნი, რომ იმათ ამდენი და ამდენი შეხვედათ ეს გაგება მავნებელი იქნება ღუბერნიის კრების დროს: რაც უნდა მსურველი იყვეს გარდასახადისა, როცა ნამდვილათ შეიტყობს, რომ ჩემთვის შეუხვედრებიათ ესა და ეს სუმმაო, თუნდ მომეტებულიც არ იყოს, ღუბერნიის კრებაში კენჭი რომ ჩამოტარდება, იმ წამსვე შავში ჩააგდებს; არ მოინდომებს, რომ დამტკიცდეს. ამისთანა პირები ბევრი გამოჩნდებიან და მაშინ ველარ მიეხვდებით—ვინ შავში ჩააგდო, ან ვინ თეთრში. იქნება რომელიც უფრო მეტს ყვიროდეს, იმან გააშავოს და საქმე წაახდინოს.

ჩემის ჰაზრით, სჯობიან კომიტეტმან თავი დაანებოს ამ თავის გარდაწყვეტილობას ამიტომ, რომ ტყუილი შრომა იქნება, თუ ღუბერნიის კრება არ დაამტკიცებს და თუნდ კიდეც დაამტკიცოს იმ განაჩენმა სხვა და სხვა ხელში უნდა გაიაროს და ისიც შესაძლებელია, რომ მთავრობამ არ დაამტკიცოს.

გარდა ამისა მართალია, მაზრებში გარდაწყდა, არ აღემატოსო გარდასახადსა თხუთმეტ მანეთსაო; ეს გარდაწყვეტილობა ღუბერნიის კრებისათვის ხომ ჯერ საბუთი არ არის? შემდეგში შეიძლება ეს ნორმა გამოიცვალოს და სხვა ნორმა დასდონ; მაშინ ხელ-ახლათ მოუნდება კომიტეტს ნორმის გარდაწყვეტა.

აგრეთვე კომლების სიის შედგენანაზედაც ეიტყვით: კომისიის საქმე სულაც არ არის და ვერც შეასრულებენ სიის შედგენას ისე მალე, როგორც საჭირო არის, ამას ბევრი დრო და წვალება უნდა, რადგან წევრები კომისიისა ერთი ერთმანეთს დაუწყებენ ცქერას. ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ სიის შედგენა იკისრონ თვითონ მაზრის წინამძღოლებმა; იმათ ხელი აქვთ ყოველი ღონის-ძიება და ადვილად შეუძლიანთ სამ დღეში შეადგინონ კომლეული სია თავიანთი მაზრის თავად-აზნაურობისა.

მართალია, თელავიდამ კორრესპოდენტი ამას წინად იწერებოდა „დროებაში“ აყვედრიდა იქაურს კომისიას მძიმეთ მოქმედობსო; მაგრამ, ჩემის აზრით, არ არიან გასამტყუენებელნი; ჯერ ჯეროობით უნდა მოითხოვონ. ჩვენი ბორის მაზრის კომიტეტიც არაფერს აკეთებს, (თითონ მეც ერთი წევრთაგანი ვარ), ამიტომ უცდით ღუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას და როდესაც კრებაც გარდასწყვეტს, რომლის სრული იმედი გვაქს, მაშინ მთელი ღუბერნიის გარდაწყვეტილობას წინ ველარავინ აღუდგება, თავს ვერავინ გააქნევს, რაც უნდა ხვედრი გარდასახადი შეხვდეს თავიანთი შვილების სასარგებლოთ.

მე ვფიქრობ, რომ ნორმა ფულისა საჭირო არ იყო, რომ გარდასწყვიტა უეზდმა; იმათ მხოლოთ უნდა შეეტყოთ: მსურველები არიან თუ არა გარდასახადისა; ნორმის გარდაწყვეტილობა შეეხებოდა და შეეხება ღუბერნიის კრებას და არა მაზრისას.

ერთი სიტყვით, ამ საქმის შესრულება დამოკიდებულია ღუბერნიის მარშალზედ, რომელმაც უნდა მისწეროს მაზრის მარშლებს, რომ მათის შემწეობით სიები შეადგინონ და მზათ იქონიონ, რადგან საჭირო იქნება ღუბერნიის კრების დროსა. თუ ასეა მოიქცევიან, მაშინ გაიწერება სკოლის ხარჯიც, ე. ი. გამოჩნდება—თითო კომლს რა შეხვდება. შემდეგ ანგარიშით კომიტეტმა გაწერენ შეძლების-და-კვალად. და ამ თანავე მოუძებნიან ღონის-ძიებას, თუ რარიგათ გარდიხადოს ოვითეულმა კომლმა ხვედრი ფული.

თ. ნ. დისსმიძე.

23 სოემბერს, სოფ. საქაშეთი.

უცხოეთი

წერილი ამბები. ვენის გაზეთს *Presse*-ს სკუტარიდამ აცნობებენ, რომ დერვიშ-ფაშამ ალბანიელებთან სასტიკის ომის შემდეგ დაიკავა დულცინიო და მერე ჩაბარა ჩერნოგორიელებსაო.

—

ბრაფ სალსბერს ფუდსტოკის ბანკეტზე გაუკიცხავს ბლადსტონის პოლიტიკა, რომელმაც აიძულა ოსმალეთი რომ ასიოდე ალბანიელები მოეკლა. ბრაფის სიტყვით, ეს საშინელი უსამართლობა არის, რადგანაც ალბანიელები თავიანთ საგვარტომო თავისუფლების დაცვისათვის იბრძოდნენ და არ სურდათ სამშობლოის ერთი მტკაველი მიწაც კი დაეთმოთ ჩერნოგორიელებისათვის. ოსტატორის სიტყვით, საბერძნეთის დახმარება დიდი უსამართლობა იქნება. ის ურჩევს მმართებლობას, რომ აღმოსავლეთის საქმის მაგიერ ირლანდიის საქმის მოჰკიდოს ხელი და კანონიერად გადასწყვიტოს იგი.

—

„პოლიტიკურს კორრესპონდენციას“ შეუტყვია, რომ საბერძნეთის სამხედრო და ზღვის მინისტრებს კიდევ შეუკვეთიათ 26 მილლიონი დრახმის სამხედრო სამზადისი. კიპრის კუნძულიდამ ათინაში მისულან 150 კაკი და უთხოვნიათ ჯარში შესვლის ნება.

—

ძველ-ოსმალოს დასს სტამბოლში, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ხონთქარზე, არ მოსწონებია დულცინიოს ჩერნოგორიელებისადმი გადაცემა; ამის გამო ოსმალეთის სამინისტროში ცვლილებას ელიან.

—

საფრანგეთის მმართებლობის აზრით, საბერძნეთის საქმე, ე. ი. ოსმალ-საბერძნეთის საზღვრის შესწორება, დიპლომატიამ უნდა გადასწყვიტოს. საფრანგეთის მმართებლობა ეცდება ისე იმოქმედოს ათინაში, რომ ომის დაწყებაზე ხელი ააღებინოს ბერძნებს.

—

ლონდონიდამ *Politische Correspondenz*-ს სწერენ, რომ მართალია, ირლანდიის და აღმოსავლეთის საქმეების წყალობით, ბლადსტონმა და იმის დასმა ბევრი მომხრენი დაჰკარგაო, მაგრამ ამით კიდევ იმ დასკვნას ვერ გამოიყვანს კაცი, ვითომც ახლანდელს სამინისტროს სამსახურიდამ გამოსვლა დასჭირდებოდესო.

ირლანდიის საქმის თაობაზე ინგლისში ყველა დასები თანახმანი არიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს საქმე უნდა გაუმჯობესდეს, მაგრამ რა ლონის-ძიებით—ამაზედ კი ყველანი სხვა-და-სხვა აზრისანი არიან. მაგ. რადიკალები მხარს უჭერენ ირლანდიის „საპიწაწყლო ლიგის“ მოთხოვნილებას და თხოულობენ, რომ მიწის მეპატრონეებს მამულნი ჩამოეროვასთ და ხიზნებს (არენდატორებს) გადაეცესთ. ჩამორთმეულ მამულების მაგიერ მეპატრონეთ ფული მისცეს ხაზინამო. კონსერვატორები და ზომიერი ლიბერალები კი სრულიად არ ეთანხმებიან ამაზე რადიკალებს.

—

ინგლისის სტამბოლელი ელჩი ბ. ბოშენი ამ წლის დამლევს ლონდონში აპირებს დაბრუნებას. იმის მაგიერ დაინიშნებაო ლორდი ნეპირი ოფ-მეტტიკი.

თფილისის სამკურნალო

ავთმოფოებს მიიღებენ დიღის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის ბირველ საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი გავრონსკი—ქალის ავთმოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავთმოფობის, **რეტინასტი**—ქალისა და უმაწვილების ავთმო., ქიუჩარიანტი—სირურგიულ და თვალის ავთმოფობ., ბაბაევი—ნერვების ავთმო., და შტემბორსკი—გენერიულ და კანის ავთმოფობისა.

სამშაბათს: ექ. მინკევიჩი — სირურგიულ ავთმოფ., ჟურავლევი—გენერიულ და კანის ავთმოფ., **რეისი**—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავთმოფ., ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და უმაწვილის ავთმოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავთმოფობის.

ოთხშაბათს: გავრონსკი—ქალის ავთმოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავთმოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—გენერიულ და კანის, ბობერანტოვი—გულის.

ხუთშაბათს: ჟურავლევი—უელის და გულის ტკივილის, **რეტინასტი** ქალისა და უმაწვილის ავთმო., ქიუჩარიანტი — გენერიულ და საშარდე ასოების ავთმოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავთმოფობისათვის.

პარასკევს: გავრონსკი — ქალის ავთმოფობის, მინკევიჩი — სირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და უმაწვილების ბაბოვი—ნერვების **ᲓᲐ** შიგნეულების, ასტვაცატუროვი—გენერიულ და კანის, შტემბორსკი — გენერიულ და კანის ავთმოფობისათვის.

შაბათს: ჟურავლევი—გენერიულ და კანის ავთმოფობისა, **რეისი**—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი - შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავთმოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავთმოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშიგე.

გინეკოლოგი ობრესტი ავთმოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქალდადი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექტ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დიღის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოშიარის ბებია ავთმოფი ქალებისათვის.

განცხადებანი

თფილისის ქველ-მოქმედ საზოგადოების ჭრისა და კერვის

სკოლაში

იღებენ საკერავს დასაჭრელად, დასანიშნად და შესაკერავად საქალებო სხვა-და-სხვა ტანსაცმელებს; იქვე აღებულ ზომით ამზადებენ სხვა-და-სხვა მოდის ფასოვნების თარგებს (ვიკრიკებს) ძალიან ხელ-მისაკარ ფასად. ვისაც ჭრისა და დასანიშნის (სმეტკა) შესწავლა სურს უახლესს მეთოდით სკოლაში ხაზვითა, იმას საგანგებოთ დანიშნულ დროზედ ასწავლიან ამ მეთოდს. ფულის სრული შემოსავალი სკოლის გასაუმჯობესებლად გადიდება. დაწვრილებითი ამბავი შეიტყობა სკოლაში პრესენალის ქუჩაზე, სახლი № 33. (3—1)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრნი მოიპატიჟებიან უჩვეულებრივს კრებაზედ, რომელიც იქნება საზოგადოების სადგომში შაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 7½ საათზე, საზოგადოების რჩევის მოხსენების მოსასმენელად:

„იმ ღონის-ძიებაზედ, რომელიც ხმარებულ უნდა იქმნეს, რომ კავკასიის სანამესტნიკოში არ გავრცელდეს ფილოქსერა, რომელიც ევროპის ვენახებში აღმოჩნდა.“

კრებაში გარეშე პირთაც შეუძლიანთ დასწრება. 2—2

ხუთშაბათიდამ, 27 ნოემბრიდამ ᲯᲐᲜᲯᲣᲚᲐᲖᲝᲕᲔᲑᲘᲡ მაღაზიაში დაიწყება გასყიდვა კაცების და ქალების ფეხ-საცმელებისა და შლიაპებისა ნამდვილს ფასზე დაკლებით; ვაჭრობა (ტორგი) არ იქნება. მსყიდველებს შეუძლიანთ ამოირჩიონ და გასინჯონ ფეხ-საცმელი.

იქვე ისყიდება სხვა-და-სხვა ღვინოები და ოდკები, დანიშნულის ფასით. 5—2

კანტორა

ᲚᲣᲙᲐ ᲘᲐᲒᲝᲠᲘᲩ ᲠᲣᲮᲐᲫᲘᲡᲐ

მაქვს პატიები ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან ვაღებ Ქ. ᲤᲝᲗᲨᲘ ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲡ ჩემი მაღაზიის მეორე ეტაჟაში, ზევით დაიმედნეული ვარ არ დამტოვებთ უყურადღებოთ, რადგან ვიღებ ჩემს თავზედ შრომას ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისას ნაკლები კომისიით.

კანტორის საქმეებს აწარმოებს მოსე დავითის ძე ქაკაბაძე, რომლისგანაც მაურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა. **ლ. რუხაძე.**

5—3

თფილისის ქალაქის

გამგეობისაგან

თფილისის ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით 9 დეკემბერს 1880 წელს დანიშნულია ვაჭრობა **ᲐᲠᲔᲜᲓᲘᲗ** გასაცემად ქალაქის **ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘᲡᲐ** რიცხვით 40 ᲯᲯᲔᲑᲠᲘᲡ მოედანზე და რუსის ბაზარზე რიცხვით 18, 1 იანვრიდამ 1881 წლიდამ 1 იანვრამდე 1883 წლამდე.

3—3

შენიშნვა

რადგან მოელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ეს წამალი ეხლა 2 მანეთად დიდს.

(100—80)

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲦᲕᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

გორის სამაზრო დამზღვველი საზოგადოება უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, რომელნიც ამ საზოგადოების წევრად ჩაეწერნენ და წელსაც ᲩᲡᲣᲠᲗᲗ წევრობა, თავიანთი საწევრო შეის ფული წარუდგინონ საზოგადოების წევრ-დამფუძნებელს თ. რევაზ შალვას ძეს ერისთავს, რომელიც გორში სცხოვრობს. 5—4

ᲕᲠᲐᲕᲐᲜᲡᲙᲘᲡ ᲖᲔᲗᲘᲡ

ფაბრიკა

ს. მ. ᲛᲚᲔᲑᲠᲝᲕᲘᲡᲐ

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ახალ ფაბრიკაში ვაკეთებული ᲕᲠᲐᲕᲐᲜᲡᲙᲘᲡ ᲖᲔᲗᲘ ფუთი 16 მანეთად ისყიდება, ადგილობრივი, კავკასიის ზეთი კი ფუთი 12 მანეთად. ᲬᲕᲠᲘᲛᲐᲚᲐᲓ ზეთი ისყიდება სოლოლაკის ქუჩაზე, შაკიევის მაღაზიაში, ღენ. სუმბათოვის სახლებში, და ნარდათ, პარტიობით კი მღებროვის საკუთარს მამულში ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, სახლის № 16.

ვინც ქალაქს გარეშე ადგილებიდამ დაიბარებს ამ ზეთს, მოთხოვნიბას მსწრაფლად და ბეჯითად შეუსრულებთ. ვინც ნარდათ, პარტიობით ისყიდის ბლომად, იმათ 10% დაეთმობა 100 მანეთის საქონელზე.

ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲥᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲜᲘ, ზეთის ნახადი, რომელიც ასუქებს ყოველ გვარ შინაურ საქონელს, ფუთი 1 მან. (5—4)

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

თევზეულის მაღაზია

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მეიდანზედ თამამშოვის ქარვასლის ლომების ქვეშ აღმოსავლეთის მხრით, გენერალი ტერ-ასატუროვის სახლების პირ-და-პირ, სადაც ისყიდება პარტიობით და წვრილად ახალ-ახალი ხიზილალა და ქიდკა; აგრეთვე ყოველ-გვარი თევზეული ახალი და ხმელი, რომლებიც მოსდის მაღაზიას სალიანიდამ და იმის გარეშემო ვათაგებიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ აღნიშნულ მაღაზიას.

5—2

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲪᲛ-ᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲙ-ᲞᲐᲡ-ᲤᲔᲠᲘ

ამაგრებს თმას და ადრანდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საშანი, დუხები და სხვ.

(150—15)

ᲤᲗᲘᲚᲘᲡᲨᲘ

შაევერდოვის გაზეთის საᲐᲒᲔᲜᲢᲝ

(ბოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შაევერდოვის პავილიონში.)

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲕᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝ 1881 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲫᲕᲔᲚᲐ დრო-გამოშვებითი გამოცემებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

(25—12)

ᲙᲐᲢᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲩᲝᲢᲙᲔᲑᲘ

თმებისაოვის 1 მ. 50-დამ და ცხვნებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძეგე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ ოითო ფუთი და სხვ. ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

(100—83)

Дозволено цензурою. Тифлисъ 28 Ноября 1880 г. Типографія Меликова ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. Ს.ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ· ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.